10.51364/26679604.jcpr.2022.v03i03.016

ლადო მირიანაშვილი

დამოუკიდებელი მკვლევარი,
საქართველო
lado_miriani@yahoo.com

ქაიხოსრო ბატონიშვილის მიერ ისპაჰანის ტარუღას სახელოს ფლობის წლების დაზუსტებისთვის

ქაიხოსრო ბატონიშვილი იყო ქართლის მეფე გიორგი XI-ის ძმის, ლევანის უფროსი ვაჟი. იგი ძირითადად ირანში მოღვაწეობდა: იყო მდივანბეგის ნაიბი, ტარუღა, ირანის ჯარის მხედართმთავარი, დაბოლოს 1709-1711 წლებში – ქართლის მეფე, რა დროსაც იგი კვლავ ირანში რჩებოდა, ხოლო ქვეყანას მისი ძმა ვახტანგი განაგებდა. ქაიხოსრო მონაწილეობდა ისპაჰანის ამბოხების ჩახშობასა და აჯანყებულ ავღანელთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. გამოირჩეოდა საბრძოლო ოსტატობითა და მხედართმთავრული ნიჭით.

ცხადია, რომ ქაიხოსროს ირანში მოღვაწეობა სამეფო ოჯახის ინტერესებში შედიოდა, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იმდროინდელმა ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა, რის გამოც სრულიად ახალგაზრდა ქაიხოსრო იძულებული გახდა, სხვა გამუსულმანებულ ქართველებთან ერთად, ირანის შაჰის სამსახურში ჩამდგარიყო და თავისი ძალა და ნიჭი უცხო მხარეში გაეფლანგა. მიუხედავად მუსლიმურ გარემოში მოღვაწეობისა, ქაიხოსრო ბატონიშვილი მამა-პაპათა ტრადიციებისა და სარწმუნოებისადმი მიბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობდა. ამაზე წერენ უცხოელი ავტორები, რომლებიც ქაიხოსროს იცნობდნენ. ამ კუთხით, საინტერესო ცნობებს გვაწვდის პოლონელი იეზუიტი მისიონერი თადეუშ კრუშინსკი, რომელიც 1707 წლიდან 1725/1728 წლამდე

სეფიანთა ირანში ცხოვრობდა და იმდროინდელი ამბების უშუალო მომსწრე იყო:

> „ბატონიშვილი დიდად უბედური იყო იმით, რომ საქართველოს ტახტის ფლობაზე უფლების შესანარჩუნებლად, რასაც სპარსეთის მეფის ვასალისა და ვალის რანგში ყოფნით ახერხებდა, იძულებული გახდა ქრისტიანობაზე უარი ეთქვა და მუსლიმური სარწმუნოება მიეღო. თუმცა მოგვიანებით, მან ეს ნაბიჯი მოინანია. მას ყანდაარის სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ მუსლიმური რელიგიისგან განდგომა, ეკლესიისკენ შემობრუნება, და რწმენისთვის ტახტის შეწირვა ჰქონდა გადაწყვეტილი. მან ამ ნაბიჯის გადადგმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა თავის შტანდარტს ჯვარი დაამატა. მისიონერებს სპარსეთის სამეფოში მასზე უფრო თავგამოდებული დამცველი არ ჰყავდათ. მას თან ყოველთვის ახლდა ორი კაპუცინი ბერი, ისევე როგორც კარმელიტი ბერი მამა ბასილი, რომლებსაც დასტაქრებად ასაღებდა და ყანდაარის სამხედრო ოპერაციების დროს თან დაჰყავდა“[1] (Krusinski 1733, 198-199).

თადეუშ კრუშინსკის ზემორე ცნობა გადაჭარბებულ ან შელამაზებულ შეფასებებს არ უნდა შეიცავდეს, რადგან სარწმუნოებისადმი ანალოგიურ დამოკიდებულებას ირანში მყოფი სხვა ქართველებიც ამჟღავნებდნენ. მეფე გიორგი XI-ის მოკვლის შემდეგ გამხელილი, მის მიერ ჯვრისა და ბიბლიის ფარულად ტარების მაგალითის გარდა, შემიძლია მოვიყვანო ამავე მეფის მდივანმწიგნობრის, გამუსულმანებული გიორგი კვინიხიძის მიერ ირანში ყოფნის დროს მცირე ზომის სახარების შეკვეთისა და ტარების მაგალითი (მირიანაშვილი 2017/2018, 159).

ისპაჰანის ტარუღობა ირანში ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობა იყო. ამას განაპირობებდა ქალაქის სიდიდე და მნიშვნელობა. როგორც

[1] ლ. მირიანაშვილის თარგმანი.

ცნობილია, 1598 წლიდან ისპაჰანი ირანის შაჰის სატახტო ქალაქი გახდა, რის შემდეგ სწრაფი ზრდა დაიწყო. XVII საუკუნის ისპაჰანის მასშტაბების აღქმაში გვეხმარება ჟან შარდენის ცნობა, რომლის თანახმად ქალაქში 162 მეჩეთი, 48 მედრესე, 1802 ქარვასლა, 273 საზოგადოებრივი აბანო და 12 სასაფლაო იყო. მისეული შეფასებით, დედაქალაქში 600,000-დან 1,100,000-მდე ადამიანი ცხოვრობდა (Savory 1980, 176). შესაბამისად, ისპაჰანში ადმინისტრაციული სახელოს დაკავება მეტად პრესტიჟული იყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ XVII საუკუნიდან მოყოლებული, ტარუღას დანიშვნა-განთავისუფლება უშუალოდ შაჰის პრეროგატივას წარმოადგენდა (Encyclopaedia Iranica 2006, 657). ამ თანამდებობით განსაზღვრული მოვალეობები წლების განმავლობაში სახეს იცვლიდა. საბოლოოდ, ის ჩამოყალიბდა როგორც კანონის დაცვასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სახელო. ანუ, ტარუღას ამოცანა იყო კრიმინალთან ბრძოლა და ქალაქში კანონიერებისა და წესრიგის დაცვა. ტარუღას სამართალდაცვით ფუნქციაზე მიუთითებს ისიც, რომ იგი მდივანბეგს ექვემდებარებოდა. სწორედ ამიტომ, ევროპულ ენებზე თარგმნისას ტარუღას შესატყვისად ხშირად პოლიციის პრეფექტს (უფროსს) ხმარობენ.

ტარუღას ადგილზე ქართველების დანიშვნა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწყო. ამ თანამდებობაზე დანიშნული ერთ-ერთი პირველი ქართველი ბეჟან ბეგ გურჯი იყო, რომელმაც ტარუღას სახელო 1590 წელს დაიკავა. 1602-1603 წლიდან ტარუღობას ფლობდა მეფე ალექსანდრე II-ის ვაჟი კონსტანტინე. 1620 წლიდან მოყოლებული, ისპაჰანის ტარუღას ადგილზე უცვლელად ქართველები, ძირითადად სამეფო სახლის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ (Encyclopaedia Iranica 2006, 657). იგივე ცნობას ვხვდებით ჟან შარდენთან და სხვა არაერთ ავტორთან. ქართველი, რომელსაც ისპაჰანის ტარუღას ადგილი ყველაზე ხანგრძლივად, 1620 წლიდან გარდაცვალებამდე – 1658 წლამდე ეკავა, ხოსროვ მირზა იყო. იმის გამო, რომ 1632-1658 წლებში იგი მეფე როსტომის სახელით ქართლში ზეობდა, 1632 წლიდან მოყოლებული ისპაჰანის ტარუღას მოვალეობის შესრულებაში მას ნაიბები ეხმარებოდნენ.

საქართველო-ირანის ურთიერთობა განსაკუთრებით ვახტანგ V შაჰნავაზის ზეობის დროს გააქტიურდა. სეხნია ჩხეიძის ცნობით, შაჰ სულეიმანმა 1666 წელს ტახტზე ასვლისთანავე ვახტანგ V-ს მისი ასულისა და ვაჟიშვილის ისპაჰანში მძევლებად გაგზავნა მოსთხოვა. მეფე იძულებული გახდა ირანში უფლისწულები ანუკა და ალექსანდრე გაეგზავნა. ამ უკანასკნელს ირანში ჩასვლისთანავე შაჰმა ისპაჰანის ტარუღობა უბოძა (ჩხეიძე 1854, 308), ანუკა კი ცოლად შეირთო (ჩხეიძე 1854, 308; ვახუშტი 1973, 449). ამგვარად, სეხნია ჩხეიძის ცნობის გათვალისწინებით, ალექსანდრე ისპაჰანის ტარუღის მოვალეობის შესრულებას სავარაუდოდ 1666 წლიდანვე, მაგრამ არაუგვიანეს 1667 წლისა შეუდგებოდა. ქართველი ტარუღების თემაზე მომუშავე მკვლევარი კ. კუცია ერთგან აღნიშნავს, რომ კონსტანტინემ ტარუღას თანამდებობაზე მხოლოდ ოთხი წელიწადი დაყო (კუცია 1972, 100), მეორეგან კი კითხვის ნიშნის მოხმობით წერს, რომ იგი ტარუღად 1670-იანი წლების დამლევამდე რჩებოდა (კუცია 1972, 102).

ისპაჰანის მომდევნო ქართველი ტარუღას ვინაობაზე ერთმანეთისგან განსხვავებული ორი ცნობა არსებობს. სეხნია ჩხეიძის ცნობით, ქართული ქორონიკონით ტჟა, ანუ 1703 წელს, მეფე ერეკლე I ვაჟებითურთ ირანში ჩავიდა. ამ ვიზიტისას შაჰმა ისპაჰანის ტარუღობა მის უკანონო ვაჟს, კონსტანტინეს უბოძა:

> „ჩაბრძანდა მეფე ერეკლე ისპაანს, დახუდა ხელმწიფე მხიარულად, მიაპყრა წყალობა და უბოძა ყულარაღასობა და ძესა მისსა იმან-ყული-ხანს, წინათ ერქვა დავით, მისცა კახეთი, მეორესა ძესა მისსა ხარჭას კოსტანტილეს უბოძა ისპაანის ტარუღობა“ (ჩხეიძე 1854, 320).

ვახუშტი ბაგრატიონიც წერს, რომ მეფე ერეკლე I ისპაჰანში 1703 წლის მაისში გაემგზავრა, ხოლო ივლისში იქ გიორგი XI-ის ძმა, ლევანიც ჩავიდა (ვახუშტი 1973, 479), თუმცა იმ პერიოდში კონსტანტინეს ტარუღად დანიშვნის თაობაზე იგი არაფერს ამბობს. სამაგიეროდ, ოდნავ წინმსწრები მოვლენების განხილვისას ვახუშტი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც ლევანმა ბელუჯები ისე სასტიკად

დაამარცხა, რომ სიკვდილს მტრის ერთი მეომარიც კი ვერ გადაურჩა, შაჰმა მადლიერების ნიშნად მას მსაჯულთუხუცესობა, ხოლო ქაიხოსროს, ლევანის უფროს ვაჟს, ისპაჰანის ტარუღობა უბოძა (ვახუშტი 1973, 477). შაჰმა ის სათხოვარიც შეიწყნარა, რომელიც ლევანის კიდევ ერთი ვაჟის, ვახტანგისთვის საუფლისწულო მამულების გადაცემის საკითხის მოგვარებას შეეხებოდა და შაჰმაც შესაბამისი მითითება ერეკლე I-ს გაუგზავნა (ვახუშტი 1973, 477). როგორც ცნობილია, ვახტანგმა საუფლისწულო მამულები 1701 წელს მიიღო (ვახუშტი 1973, 908). შესაბამისად, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ქაიხოსრო ისპაჰანის ტარუღად 1701 წელს დაუნიშნავთ. მის მიერ ისპაჰანის ტარუღის ადგილის ფლობის წლების დასაზუსტებლად დღემდე გამოუყენებელი უცხოური წყარო მოვიხმე. ესაა XVII საუკუნის ბოლოს - XVIII საუკუნის დასაწყისის უცნობი ავტორის თხზულება „ლუის გრიგოლის მარტვილობა“.

გრიგოლი იყო ეროვნებით სომეხი მოქალაქე, რომელიც XVII საუკუნის ბოლოს - XVIII საუკუნის დასაწყისში ირანში, კერძოდ ისაჰანში ცხოვრობდა. იგი 1703 წელს, 18 წლის ასაკში ადგილობრივმა მუსლიმებმა აწამეს. ლუის გრიგოლის მარტვილობაში ჰაგიოგრაფი წერს, რომ მას შემდეგ რაც ისპაჰანის მთავარმა მოლამ ცრუმოწმეების დასმენის საფუძველზე გრიგოლი დამნაშავედ სცნო, მას ორად-ორი არჩევანი შესთავაზა – ისლამურ სარწმუნოებაზე მოქცევა, რითაც გრიგოლი სიცოცხლეს შეინარჩუნებდა, ან სიკვდილით დასჯა. გრიგოლმა ქრისტეს რჯულის უარყოფას სიკვდილი არჩია. სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება ქალაქის მოსამართლემ წესის შესაბამისად გააფორმა და ბეჭდით დაამოწმა. მომჩივნები, გრიგოლის მიმართ გამოტანილი განაჩენის შეტყობინების მიზნით, ისპაჰანის ტარუღას ეახლნენ, რომელიც თხზულების ავტორის ცნობით „შაჰნავაზის შვილიშვილი იყო, ეთნიკურად ქართველი“ (Тер-Давтян 1998, 214). მარტვილობაში აღწერილი ამბავი 1703 წლის ივლისში მოხდა. თარიღი უშუალოდ თხზულების ტექსტშია მითითებული. შესაბამისად, ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლის მეფეთა ცხოვრებასა“ და „ლუის გრიგოლის მარტვილობაში“ დაცული ცნობების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შაჰმა ქაიხოსრო,

შაჰნავაზის შვილიშვილი, ისპაჰანის ტარუღად 1701 წელს დანიშნა და იგი ამ ადგილს 1703 წლის ივლისში კვლავ ინარჩუნებდა.

სეხნია ჩხეიძის ცნობით კი, ქაიხოსრო ისპაჰანის ტარუღად 1707 წელს დაინიშნა. კერძოდ, იგი წერს:

> „ამავ ქორონიკონს (1707 წელს), თიბათვის თ (9 ივნისს), მოვიდა მაშათს ისპაანიდამ ჩაფარი, ისპაანის ხალხის უკუდგომა და შიმშილით შეწუხება, ხელმწიფის ალაყაფის კარი[ს] ქვით ჩაქოლვა, მონდომა მათგან ყაენის ძმის მოყვანა: რა ეს ამბავი მოვიდა შეიქნეს ჭმუნვა და მისცეს ბატონიშვილს ნაიბობა ყაენისა და ტარუღობა და ნასაღი, გაისტუმრეს... რა შევიდა ქალაქსა შინა, შეიქნა სიხარული დიდი. რა სცნეს მისულა ქაიხოსროსი წინათ ამისად კიდევ ბევრი ნასაღი ექნა და დაეცათ შიში...“ (ჩხეიძე 1854, 322).

ტექსტის ამ ფრაგმენტში ნახსენებია 1707 წლის ისპაჰანის ამბოხება, რომელიც შიმშილობით იყო გამოწვეული. ცნობები ამ ამბოხების შესახებ არაერთ წერილობით წყაროშია დაცული. სეხნია ჩხეიძის მონაყოლი ეჭვს არ იწვევს, მითუმეტეს რომ იგი ამ მოვლენების თვითმხილველი და მონაწილე იყო. სწორედ ამიტომ, ამ ავტორის მიერ დასახელებული თარიღი, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ნახსენები თარიღისგან განსხვავებით, ყველა მკვლევრის მიერ იქნა გაზიარებული. ასეა დღემდე. ქაიხოსროსადმი მიძღვნილ ყველაზე ბოლოდროინდელ წიგნშიც წერია, რომ ლევანის შვილი ქაიხოსრო ისპაჰანის ტარუღა 1707 წელს გახდა (კვაშილავა 2020, 60).

სეხნია ჩხეიძის მიერ მოწოდებული ცნობის სანდოობის გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა, თუ რას უნდა განეპირობებინა 1707 წლისგან განსხვავებული თარიღის მითითება ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში და „ლუის გრიგოლის მარტვილობაში“, რომლის ავტორი XVII საუკუნის მიწურულის - XVIII საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა? ჩემი აზრით, ახსნა თავად სეხნია ჩხეიძის ტექსტში იძებნება. ზემოთ მოყვანილი ტექსტის ფრაგმენტში

გარკვევით წერია, რომ შაჰის მიერ ქაიხოსროს ტარუღად დანიშვნას მოსახლეობა სიხარულით შეხვდა, მაგრამ როცა ისპაჰანელებმა ქაიხოსროს მიერ წინათ ჩადენილი სისასტიკე გაიხსენეს („წინათ ამისად ბევრი ნასაღი ექნა“, ანუ დასჯის მკაცრი ფორმების, მათ შორის დასახიჩრების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით დაუმახსოვრებინებია თავი), მათი სიხარული შიშით შეიცვალა. ეს შიში უსაფუძვლო არ ყოფილა, რადგან ამჯერადაც, ისპაჰანის აჯანყებული მოქალაქეები ქაიხოსროს ბრძანებით სასტიკად დასაჯეს (ჩხეიძე 1854, 323; Holt 1970, 425). როდის უნდა ჰქონოდათ ისპაჰანელებს გამოცდილი ქაიხოსროს სისასტიკე? ცხადია, რომ მისი ადრინდელი ტარუღობის დროს, ცნობა რის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებასა და „ლუის გრიგოლის მარტვილობაშია“ დაცული.

ჩემი აზრით, 1707 წელს ქაიხოსროს ისპაჰანის ტარუღად დანიშვნა იმ დროს შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო ნაუცბათევად მოხდა. იმის გამო, რომ მოქმედმა ტარუღამ – კონსტანტინემ მოვალეობის შესრულებას თავი ვერ გაართვა, რის გამოც აჯანყებამ ფართო მასშტაბები მიიღო, შაჰმა ის გადააყენა და ისპაჰანის ტარუღად ამ სახელოს ფლობაში ერთხელ უკვე გამოცდილი და იმავდროულად სამხედრო საქმეში გამოცდილი ქაიხოსრო დანიშნა. ანუ მიმაჩნია, რომ 1707 წელს ბატონიშვილ ქაიხოსროს ისპაჰანის ტარუღად დასმა იყო მისი ამ ადგილზე არა პირველად, არამედ მეორედ დანიშვნა.

მოვლენების ამგვარად გააზრების შემთხვევაში, ზემოთ განხილული სამივე წყარო ქაიხოსროს ტარუღობის წლების შესახებ სწორ ინფორმაციას გვაწვდის: ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ნახსენები 1701 წელი, ქაიხოსროს ისპაჰანის ტარუღად პირველად დანიშვნის წელია (ვახუშტი თავის თხზულებაში ქაიხოსროს მეორედ დანიშვნის ფაქტსა და თარიღს უბრალოდ არ ახსენებს). XVIII საუკუნის დამდეგს ქაიხოსროს ისპაჰანის ტარუღად ყოფნას ადასტურებს ჩემ მიერ მოხმობილი ახალი წყაროც – „ლუის გრიგოლის მარტვილობა“, რომელში დაცული ცნობის თანახმად ქაიხოსროს 1703 წლის ივლისში ისპაჰანის ტარუღას ადგილი ეკავა. რაც შეეხება სეხნია

ჩხეიძის მიერ მითითებულ 1707 წელს, ეს არის ქაიხოსროს მიერ ისპაჰანის ტარუღას ადგილის მეორედ დაკავების თარიღი, როცა საგანგებო ვითარების პირობებში, აჯანყებული მოქალაქეების დასამორჩილებლად და დასასჯელად შაჰმა ქაიხოსრო ამ ადგილზე კიდევ ერთხელ დანიშნა (სეხნია ჩხეიძე ქაიხოსროს პირველ დანიშვნას თავის თხზულებაში საერთოდ არ ახსენებს).

ამგვარად, დროის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში ისპაჰანის ქართველი ტარუღების ზეობის წლები შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ა) 1701 წელი - 1703 წლის ივლისი – ქაიხოსრო ლევანის ძე,

ბ) 1703 წლის ზაფხული - 1707 წლის ზაფხული – კონსტანტინე, მეფე ერეკლე I-ის უკანონო ვაჟი,

გ) 1707 წლის ზაფხული - 1709 წლის ზაფხული – ქაიხოსრო ლევანის ძე (მეორედ დანიშვნა).

დამოწმებანი

ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის მეფეთა ცხოვრება. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

კვაშილავა კახა, გიორგი XI და ქაიხოსრო, პალიტრა L, თბილისი, 2020.

კუცია კ., ისფაჰანის ტარუღები (1618-1722). მახლობელი აღმოსავლეთის საკითხები, II, თბილისი, 1972.

მირიანაშვილი ლადო, საბა და ერასტი ორბელიანებისთვის ირანიდან გაგზავნილი სამძიმრის წერილის ავტორის – გიორგი მდივნის ვინაობის დადგენისთვის. ქართული წყაროთმცოდნეობა, XIX-XX, 2017/2018, გვ. 156-161.

ჩხეიძე სეხნია, ცხოვრება მეფეთა. უ. ჩუბინოვი, ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, სანკტპეტერბურღი, 1854, გვ. 307-342.

Holt P.M. (editor), The Cambridge History of Islam, vol. 1A, Cambridge University Press, 1970.

Krusinski Tadeusz, The History of the Late Revolutions of Persia, vol. 1, London, 1733.
Savory Roger, Iran Under the Safavids, Cambridge University Press, 1980.
The Encyclopaedia Iranica, Vol. XIII, Fasc. 6, 2006, pp. 650-657.
Тер-Давтян Кнарик (перевод и примечания), Новые Армянские мученики (1155-1843), Ереван, 1998.